შენიშვნები - პასუხები ბაკურციხე-წნორის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშთან დაკავშირებით

№	შენიშვნა	პასუხი
1	წინასწარი განხილვის მიზნით წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა დოკუმენტებიდან კოპირებული ინფორმაცია, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს აღნიშნულ საპროექტო დოკუმენტაციასთან, შესაბამისად აუცილებელია წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის გადამუშავება და ექსპერტიზის ეტაპზე შესწორებული და დაზუსტებული ინფორმაციების წარმოდგენა;	შენიშვნა გათვალისწინებულია
2	გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია მდინარეების და გეოდინამიკური პროცესების შესახებ, შესაბამისად გაუგებარია რეალურად როგორ მოხდება საპროექტო გზის გაყვანა ბაკურციხე-წნორის მონაკვეთზე სადაც არცერთი ზემოაღნიშნული ობიექტი არ გვხვდება	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 6.3 ჰიდროლოგია - ქვეთავში
3	გზშ-ს ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, საპროექტო არეალში არსებული გრუნტის გზის შესახებ, მისი მდგომარეობისა და პარამეტრების გათვალისწინებით;	ბაკურციხე-წნორის შერჩეულ ალტერნატივის მთელს სიგრძეზე გრუნტის გზა არ არებობს. არის მხოლოდ კერძო მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გრუნტის გზები, რომელსაც მოსახლეობა იყენებს.
4	ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საპროექტო გზის არელში არსებული სარწყავი არხის, რკინიგზის, მაღალი ძაბვის ანძებისა და სხვა კომუნიკაციების შესახებ, ხოლო მათი გადაკვეთის შემთხვევაში, ექსპერტიზის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს მათ მფლობელ კომპანიებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;	გზშ-ს ანგარიში მომზადებულია ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაზე დაყრდნობით. აღნიშნული დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის შემდეგომ
5	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ზემოქმედებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;	აღნიშნული შენიშვნა ნაწილობრივ გათვალისწინებულია 6.6 სოციო-ეკონომიკურ სიტუაცია ქვეთავში. აღნიშნული საკითხის ზუსტი და დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება განსახლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ
6	საპროექტო გზის ტერიტორია მოიცავს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების განკარგულებით გათვალისწინებულ ფართობს (#1631, 3.08.2017-3.03.2018, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“). ,,წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე;	გზშ-ს ანგარიში მომზადებულია ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაზე დაყრდნობით. ტენდერის საფუძველზე გამოვლენილ მშენებელ კომპანიის გამოვლენისა და დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ შეთანხმებული იქნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ეკონიმიკისა და მდგრადი

		განვითარების სამინისტროში შესაბამისი ლიცენზიის მოსაპოვებლად
7	გზშ-ს ანგარიშში ფორმარულად არის განხილული საპროექტო გზის ალტერნატივები და საჭიროებს რელაურ დასაბუთებასა და მაღალი გარჩევადობის აეროფოტოსურათების წარმოდგენას shape ფაილებთან ერთად;	ალტერნატივები განხილული იყო კონცეპტუალურ დონეზე და შესაბამისად შეიპ ფაილი არ არსებოსბ, თუმცა თვითონ განხილული ალტერნატივების შესახებ
8	გზშ-ს ანგარიშში არ არის განხილული საპროექტო გზის ქვეშ სამანქანო და საფეხმავლო გვირაბების მოწყობის საკითხები	გზშ-ს პროექტის განხილვის თავში მოცემულია ამ ეტაპისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. დეტალური დიზაინი მომზადდება ტენდერის შემდგომ გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ
9	გზშ-ს ანგარიშში არ არის მოცემული დეტალურად საპროექტო გზის საწყის მონაკვეთზე რკინიგზის არსებული ხაზის კვეთასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე როგორ მოხდება არსებულ გზასთან მისი დაერთება საწყის მონაკვეთზე;	გზშ-ს პროექტის განხილვის თავში მოცემულია ტექნიკურ-ეკონიმიკური ეტაპისთვის არსებული ინფორმაცია. დეტალური დიზაინი მომზადდება ტენდერის შემდგომ გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ
10	წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი რაოდენობის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. გზშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული ნარჩენების ტრანსპორტირებისა და მათი განთავსებისათვის დეტალური ინფორმაცია shape ფაილებთან ერთად;	აღნიშნული დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის შემდეგ
11	ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ–ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების რაოდენობის და ადგილმდებარეობის შესახებ GIS კოორდინატების მითითებით, სამშენებლო ბანაკების ყველა ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების მოწყობის გეგმის, ასევე დაბინძურების წყაროების, ემისიების და ნარჩენების მართვის შემარბილებელი ღონისძიებების აღწერით; ასევე მოცემული უნდა იყოს საკუთრების ფორმა, კატეგორია, ფართობი, ნიადაგური დახასიათება, გასატარებელი ღონისძიებები;	აღნიშნული დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის შემდეგ.
12	წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში არ არის ინფორმაცია, თუ რა მანძილით არის დაშორებული უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო გზიდან	ყველა ის სახლი რომელიც უშუალოდ მოხვდება სამშენებლო დერეფნის ბუფერში გამოსყიდული იქნება განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც მომზადების ეტაპზეა და ხელმისაწვდომი გახდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ გვერდზე მისი დამტკიცების შემდგომ. ხოლო მიმდებარედ არსებული სახლების დაშორება მოხდება შესაბამისი სტანდარტების მიხედვით. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის

		ეტაპისთვის ცნობილია მინ. დაშორება არის დაახლოებით 60მ საპროექტო გზის კიდიდან.
13	გზშ-ს ანგარიშში ცხრილი 7.2.11 (გვ58) ხმაურის დონე განსაზღვრული უნდა იყოს უახლოესი დასახლებული პუნქტთან მიმართებაში და არ უნდა იყოს მოყვანილი ზოგადი მონაცემები	დეტალური ინფორმაცია უახლოეს დასახლებულლ პუნქტთან მიმართებაში ხმაურის დონის განსაზღვრა მოხდება ტენდერის შემდგომ გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ, რათა შესაბამისად გატარებულ იქნეს შემარბილებელი ღონისძიებები.
14	გზშ-ს ანგარიში (8.1, გვ.80) ზდჩ-ს ნორმების პროექტი და ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში არ არის წარმოდგენილი;	შენიშვნა გათვალისწინებულია (8.1 ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა - ქვეთავში) და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადებისა და დამტკიცების შემდგომ ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია შესათანხმებლად წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
15	გზშ-ს ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სამშენებლო ბანაკში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების, ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის სქემა. არ არის ბანაკის წყალმომარაგების სქემები	აღნიშნული დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის შემდეგ
16	ხმაურის ზემოქმედების (7.2, გვ. 58) განხილვისას არ არის გათვალისწინებული „საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის № 398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ”;	შენიშვნა გათვალისწინებულია
17	გზშ-ს ანგარიშის ქვეთავში 6.2.3 „ლაბორატორიული ცდები,“ საუბარია გზის გასწვრივ გაყვანილი ჭაბურღილებიდან და გათხრილი ორმოებიდან აღებული ნიმუშების ანალიზების შესახებ. გაუგებარია რამდენი გამონამუშევარია გაყვანილი საკვლევ ტერიტორიაზე. ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ჭაბურღილების ჭრილები შესაბამისი კოორდინატების მითითებით	შენიშვნა გათვალისწინებულია დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში
18	ანგარიშში საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური გარემო წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით: გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგია, ტექტონიკა, სეისმურობა და საინჟინროგეოლოგიური პირობები;	შენიშვნა გათვალისწინებულია დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში

19	იმ შემთხვევაში, თუ ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში, საქმიანობის სუბიექტმა უნდა შეიმუშაოს და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურბელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები;	გზშ-ს ანგარიში მომზადებულია ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაზე დაყრდნობით. აღნიშნული დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენისა და დეტალური დიზაინის დამტკიცების შემდეგ
20	ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები იდენტურია სხვა გზშ-ს მონაცემებთან. მაგ: თავი 7.3 (გეოლოგიური გარემოს ცვლილება და მოსალოდნელი ზემოქმედება), თავი 7.5 (ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერებაზე და ხარისხზე).აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია 7.3 და 7.5 ქვეთავებში
21	გზშ-ს ანგარიშის გეოლოგიის თავში ტექსტური ნაწილი შესასწორებელია, გეოლოგიურ ნაწილში არ არის წარმოდგენილი ქვეთავები: ჰიდროგეოლოგია და ტექტონიკური პირობები. ქვეთავში 6.2.1 „პროექტის ტერიტორიის გეოლოგიური მიმოხილვა," ფაქტობრივად განხილულია ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობები;	შენიშვნა გათვალისწინებულია - დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში
22	ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელებისას სამშენებლო ბანაკში ადგილი ექნება ასფალტ-ბეტონის კვანძის ფუნქციონირებასაც (გვ. 58). აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტში (თავი 7.1.1, გვ. 56) წარმოდგენილ უნდა იქნეს უფრო დეტალური ინფორმაცია შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის" სამშენებლო ბანაკის თაობაზე და დაზუსტდეს, შეთანხმებულია თუ არა სამინისტროსთან შესაბამისი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია;	აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმებულია 2017 წლის 23 მარტს №2683 წერილით. ხოლო დეტალური ინფორმაცია შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის" სამშენებლო ბანაკების შესახებ წარმოდგენილია 2016 წლის 25 თებერვლის №10 ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების მიხედვით საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 12 ივნისს №2-13/6080 წერილით
23	დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ტერმინოლოგია: „მეოთხედ ალუვიალურ-პროალუვიალურ წიაღისეულით"... „ეს ტალღისებურობა განპირობებულია მდინარეების არსებული ხშირი ნაგვის-ამკრეფი კონუსი"… „ხრამების გვერდებზე ვითარდება ნაგვის კონუსები"... „სეისმური ზონური სქემა ამჟამად ძალაშია საქარელოშია, მოკვლევის ადგილის სეისმურობის ინტენსივობა 9 MSK64-მაშტაბით უგანზომილები სეისმური კოეფიციენტი A=0.28" და ა.შ;	შენიშვნა გათვალისწინებულია
24	გზშ-ს ანგარიშში საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ინფორმაცია – შედგენილია არაკვალიფიციურად და საჭიროებს აღნიშნული ინფორმაციის სრულად გადამუშავებას და გზშ-ს ანგარიშში ასახვას;	შენიშვნა გათვალისწინებულია დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში
25	ანგარიშში ცალ–ცალკე უნდა იქნას წარმოდგენილი ჰიდროგეოლოგიისა და ჰიდროლოგიის თავები, რომლებიც აღწერილი უნდა იქნას შესაბამისი სპეციალისტების მიერ;	შენიშვნა გათვალისწინებულია დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში

26	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას გრუნტის წყლის დონეების, მინერალიზაციისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია საპროექტო გზის ფარგლებში. უნდა დახასიათდეს ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე შესაძლო ზემოქმედება, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში;	იქიდან გამომდინარე, რომ გაბურღვების დროს გრუნტის წყალი არ იქნა გამოვლენილი, შესაბამისად ზემოქმედება გრუნტის წყალზე მინიმუმამდეა დაყვანილი (იხ. დანართი 5)
27	ანგარიშის შესავალ თავებში არ არის ქვეთავი, სადაც დახასიათებული იქნებოდა ობიექტის ფარგლებში არსებული საინჟინრო გეოლოგიური პროცესები და მოვლენები. გარდა ამისა, ლაპარაკია ზოგად შემარბილებელ ღონისძიებებზე და არა კონკრეტულად, სად, რომელი ღონისძიებაა დაგეგმილი;	შენიშვნა გათვალისწინებულია დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია 7.3 ქვეთავში.
28	ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო დერეფანში არის წყაროები, რომლებიც მშენებლობის პროცესში გამოყენებულ იქნება წყალმომარაგების მიზნით, მაგრამ არ არის წარმოდგენილი წყაროების ჰიდროგეოლოგიური მონაცემები (დებიტები, შემადგენლობა, მინერალიზაცია და ა.შ.), ასევე არ არის წარმოდგენილი რა რაოდენობის წყალი იქნება საჭირო წყალმომარაგებისა და ტექნიკური საჭიროებებისათვის;	შენიშვნა გათვალისწინებულია 6.3 ქვეთავში
29	გზშ-ს ანგარიშში თავი 11. დასკვნები და რეკომენდაციები – არ არის ჩანაწერი გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების შემდეგ მოსალოდნელი შედეგების შესახებ;	შენიშვნა გათვალისწინებულია 7.3 და 7.4 ქვეთავებში
30	დასკვნებსა და რეკომენდაციებში უნდა აისახოს გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო გეოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედება და მისი თავიდან აცილების შედეგების შესახებ მოკლე ინფორმაცია;	შენიშვნა გათვალისწინებულია 7.3 ქვეთავში
31	დოკუმენტში უნდა აისახოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებზე. მათზე ზემოქმედების (ჭრის) შემთხვევაში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე, წარმოდგენილ იქნას, ინფორმაცია ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობების და რაოდენობის მითითებით;	ინფორმაცია მოცემულია 6.4 ქვეთავში, აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ საპროექტო გზა გადის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, რომლის გამოსყიდვაც მოხდება განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით
32	გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე, (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებში და საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილ სახეობებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევების შედეგები სამინისტროში ექსპერტიზის ეტაპზე;	შენიშვნა გათვალისწინებულია, მაგრამ გზშ-ს მომზადების პროცესში იქიდან გამომდინარე რომ საპროექტო გზა გადის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გარეული ცხოველების კვალი არ იქნა აღმოჩენილი მით უმეტეს საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების
33	გზშ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ "თუ მდინარის ნაკადის კურსის დროებითი შეცვლა გახდება სავალდებულო, მილსადენები, არხები და თევზსავალი ისე მოეწყობა, რომ	საპროექტო გზა გადის მშრალ ხევებზე, რომლის წყლის დონეც ზაფხულის პერიოდში თითქმის არც

	უზრუნველყოფილ იქნას ალტერნატიული წყლის დინება და თევზების მოძრაობა." ვინაიდან წარმოდგენილ ანგარიშში განიხილება საავტომობილო გზის მშენებლობა და არა წყალაღებასთან დაკავშირებული პროექტი, საჭიროდ მიგვაჩნია, გზშ-ს ანგარიში შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან	შეიმჩნევა, აქედან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიებს თევზსავალის მოწყობა არ არის მიზანშეწონილი
34	აუცილებელია ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე, მონიტორინგის გეგმაში აისახოს, ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე დაკვირვების საკითხი;	შენიშვნა გათვალისწინებულია 9 თავში
	დოკუმენტში მოყვანილია მოძველებული ჰაერდაცვითი ნორმატიული აქტები (გვ. 18), რაც სათანადო შესწორებას საჭიროებს;	შენიშვნა გათვალისწინებულია 2.1 ქვეთავში
35	გზშ-ს ანგარიშში მოცემული გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში უნდა მიეთითოს, რომ საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს საქმიანობის განმახორციელებელი და არა მშენებელი კონტრაქტორი;	შენიშვნა გათვალისწინებულია 8 თავში
36	გზშ-ს ანგარიშში არ არის ინფორმაცია სამუშაოების დაწყების და დამთავრების სავარაუდო თარიღების შესახებ, ასევე არ არის ინფორმაცია დღე-ღამის განმავლობაში სამუშაო საათების შესახებ;	იქიდან გამომდინარე, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს ჯერ ტენდერი არ გამოუცხადებია მშენებელი კომპანიის გამოსავლენად, მშენებლობის დაწყების ზუსტი თარიღის მითითება ამ ეტაპზე შეუძლებელია
37	გზშ-ს ანგარიშში, რუკებზე გამნარტებითი ბარათი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;	შენიშვნა გათვალისწინებულია
38	გზშ-ს ანგარიშში (ცხრ. 5.3.1, გვ. 30) „µmგ/მ3“ მაგივრად მოცემული უნდა იყოს „მკგ/მ3“ და „ლექ“ ის ნაცვლად „Leq” (5.3.2, გვ. 30);	შენიშვნა გათვალისწინებულია, ჩასმულია შესამაბისი განახლებული ინფორმაცია 2.3 ქვეთავში
39	გზშ-ს ანგარიშში კლიმატის თავი 6.1.1 ტექსტი გაუმართავია და არ იკითხება;	შენიშვნა გათვალისწინებულია 6.1.1 ქვეთავში
40	ანგარიშში გზშ-ს პროცედურების აღწერის თავში (გვ 15) არ არის სრულად წარმოდგენილი და ასევე ადგილი აქვს გარკვეულ უზუსტობებს რომელიც საჭიროებს შესწორებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია
41	გზშ-ს ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ფერადად;	შენიშვნა გათვალისწინებულია